№ 214 ოქტომბერი 9, ოთხშაბათი 1891 ოქტომბერი 9, ოთხშაბათი № 214

გაზეთი ღირს

| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, გუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ულეჯრივი სტრიქონი რვა კაპეიკი

1877—1891 სალიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

სამკურნალო ს. ბ. თოფურიასი გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის და მუდმივის საწოლებით ქ. ქუთაისში.

ავადმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის ათის საათიდან ნაშუადღევის სამ საათამდე. შინაგანისა და საყმაწვილო სენით ავადმყოფებს არჩენს ს. ბ. თოფურია. ხირურგიულისა, ვენერიულისა და სიფილისის სენით ავადმყოფებს—ს. ბ. ვოინო. სახებით და ქალის ავადმყოფობით ავადმყოფებს—ექიმი ქალი მ. ფ. კალანი. თვალებით ავადმყოფებს მიიღებენ დილის თერთმეტის საათიდამ ნაშუადღევის ორ საათამდე.

სამკურნალოსთან იქმნება გამართული კაბინეთი ავადმყოფთა დასაზელად (მასაჟისათვის) ექიმების ხელ-მძღვანელობით და კაბინეთი შარდისა და ნახველის გამოსაკვლევად.

ფასი ექიმობისა თითოეულს ნახვაზედ ათი შაურია. კონსილიუმი (რჩევა), რომელიც შესდგება სამკურნალოს ყველა ექიმთაგან, ეღირება სამი მანეთი. შარდის თვისებათა გამოკვლევა—ერთი მანეთი; შარდის გამოკვლევა რაოდენობის მხრით—სამი მანეთი; მიკროსკოპით გამოძიება ნახველისა—ორი მანეთი. დაზელვისა (მასაჟის), აგრეთვე საავათმყოფოში დაწოლისა და მოვლის ფასი გარიგებით იქმნება. გიდამდების ავადმყოფობით სნეულებს საავათმყოფოში დასაწოლად არ მიიღებენ.

გარედგან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ პირველ ნოემბრამდე ბოკერიას სახლში, ბულვრის პირდაპირ, და მუდმივი ქვეშაგებიან-საწოლიანი სამკურნალო იქმნება ბალახვანის ქუჩაზედ, სტეფანოვის სახლში, ხოლო პრველ ნოემბერიდან გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ სტეფანოვის სახლში და მუდმივ საწოლიანი სამკურნალო იქმნება თოფურიას საკუთარს სახლში, გაგარინის ქუჩის შესახვევში, სომხების ეკკლესიის მახლობლად.

სამკურნალოს დირექტორი—ს ბ. თოფურია

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 9 ოქტემბერს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

**უხასიათობის მსხვერპლი**

დრამა 4 მოქმედ. ჩეხოვისა თარგ. მ. ნასიძისა

II

**ქართული ხორო**

ბ. რატილის ლოტბარობით

იმღერებს სხვა-და-სხვა ქართულს ხმებს.

მონაწილეობას მიიღებენ: საფაროვისა, ავალოვისა, ჩერქეზიშვილისა, ტარიელოვისა, არლანისა, ბ-ნი აბაშიძე, გუნია, გედევანოვი, კანდელაკი, შათიროვი, საფაროვი ადამიძე, თამაზიშვილი, და სხვა.

დასაწყისი სწორედ $7^1/_2$ საათზედ.

ადგილების ფასი:

ლოჟები 3 მანეთიდამ მოყოლებული 10 მანეთამდე,

სკამები სამის აბაზიდან სამ მანეთამდე

გალერეა ერთის აბაზიდან მოყოლებული ორ აბაზამდე.

## ახალი ამბავი

*** ამ ჟამად ტფილისში ჩამოვიდა და „ჩრდილოეთის ნომრებში“ მე-29 №-ში ჩამოხდა პროფესორი ბერკანი, მარსელში ბლუთა ინსტიტუტის დამაარსებელი. ბ-ნი ბერკანი საფრანგეთის მთავრობას სამეცნიერო აზრით გამოუგზავნია რუსეთში.

*** ტფილისის საქალაქო შემნახველ-გამსესხებელ კასსის 1 სექტემბრის ანგარიშით, ამ კასსას ამ ჟამად ხელთ ჰქონია 1.110 მან. 16 კაპ., სესხად გაუცია 187,945 მან., სარგებელი აუღია 11,214 მან. 45 კაპ. ქალაქის სასწავლებლებსა და საქველ-მოქმედო დაწესებულებათათვის დაუხარჯავს 1.500 მან. საერთოდ-კი ბალანსი 195,850 მან. 28 კაპ. ჰქონია.

*** დღეს ქართულს თეატრში წარმოსადგენად დანიშნულია ჩეხოვის ოთხ-მოქმედებიანი პიესა „მსხვერპლი უხასიათობისა“ (რუსულად „Ивановъ-ად“ წოდებული) და, ამას გარდა, ქართული ხორო, ბ-ნ რიტილის ლოტბარობით, სხვა-და-სხვა ქართულს ხმას იგალობებს.

*** ამ წლის აგვისტოს თთვეში ქალაქის საყასბოზედ დაუხოციათ სხვილ-ფეხი საქონელი: 2304 ძროხა, 391 ხარი, 9 ბუღა, 37 კამბეჩი, წვრილ-ფეხი საქონელი: 25 ხბო, 3022 ცხვარი და 33 თხა, საერთოდკი 3241 სული სხვილ-ფეხი საქონელი და 3080 სული წვრილ-ფეხი საქონელი, საერთოდ-კი სულ 6,321 სული.

*** სოფ. კურდღელაური (თელ. მაზრა). აგრონომი ბ-ნი ინანაშვილი კვლავ მოვიდა ჩვენს სოფელში და ხალხს ესაუბრა ვაზის ავადმყოფობისა და მისის წამლობის თაობაზე—დაწვრილებით ახსნა და განმარტა, თუ როგორ უნდა შეატყოს კაცმა, კარგის თვისებისაა თუ ცუდისა გოგირდი, რომელსაც ყიდულობენ ვაზების საწამლელად. ამასთანავე ბ-ნი ინანაშვილი კარგა ხანს ესაუბრა ხალხს ფილოქსერის თაობაზედაც, აჩვენა დიდად დახატული ფილოქსერა, აუხსნა მისი თვისება და ისიც, თუ რა ნავნები შეუძლიან ამ უჩინარს მწერს. ხალხმა გულმოდგინედ მოისმინა ინანაშვილის დარიგება და გაფრთხილება. ამ გზით ყველა მიჰხვდა, რა გაფრთხილება და მოვლაც სჭირია ვაზს და ან როგორ უნდა ებრძოლოს კაცი ვაზის სხვა-და-სხვა სენს.

*** ოქტომბრის 7 რიყეზე, ყაზაროვის სახლში, დილის 11 საათზე უეცრად გარდაიცვალა ტფილისის მცხოვრებელი გოგინოვი.

*** ამავე დღეს მარტყოფის მცხოვრებელმა იოსებ კუპრაძემ ლიმონადის ფურგონი დააჯახა შტაბს-კაპიტნის ლოშქარევის ხუთის წლის ბავშვს და მძიმედ დააშავა. დამნაშავე შეიპყრეს.

## ქალაქის საბჭო

7 სექტემბერი

პირველი საგანი საბჭოსი იყო ამორჩევა ქალაქის თავის მოადგილისა. მოადგილედ ქალაქის თავისა საბჭოს უნდა აერჩია ერთ-ერთი გამგეობის სამს წევრს შორის. გამგეობის წევრთ ე. ე. ხოსროევმა და ა. ა. ივანენკომ უარი განაცხადეს და არ მოინდომეს კენჭის ყრა, ყუთი დაიდგა მხოლოდ პ. ა. იზმაილოვმა. კენჭების დათვლამ აღმოაჩინა, რომ პ. ა. იზმაილოვმა მიიღო 18 კენჭი თეთრი, ხოლო 20 შავი. ამის გამო ქალაქის თავის მოადგილის ამორჩევა გადადებულ იქმნა შემდეგ ორშაბათისთვის.

დანარჩენ საქმეთა შორის საყურადღებო იყო განხილვა ვაჭრობისა, რომელიც მოჰხდა 29 სექტემბერს შესახებ საქალაქო მამულების გაყიდვისა და იჯარით გაცემისა. გაიყიდა სამი ნაჭერი მიწა და იჯარით გაიცა შვიდი. გაყიდვით ქალაქმა ამოიღო საშუალო ფასი საჟენზე თითქმის ექვსი მანათი და 50 კ. ვაგზალს ახლო, ავჭალის ქუჩაზე, ხოლო იჯარით 30 კაპეიკიდგან 89 კაპეიკამდე საჟენზე. იჯარის ვადა პირვანდელ პირობის ძალით სამი წელიწადი უნდა ყოფილიყო, ხოლო იმ პირობით, რომ სამის წლის შემდეგ იჯარადარს შეეძლო, კვლავ სამის წლით განეახლებინა პირობის ქაღალდი, თუ-კი იჯარის ფასს დაუმატებდა კიდევ ერთს მეათედს. გამგეობამ ამის შესახებ მოახსენა საბჭოს, რომ უკეთესი იქმნებოდა, მიგვეცა ვადა არა სამის წლით, არამედ ექვსის წლითა, რომ ამ ვადის შემდეგ კვლავ 6 წლით განეახლებინათ იჯარა, უკეთუ ერთს მეათედს დაუმატებდნენ იჯარის ფასსაო,—ეს იმიტომაო, რომ ფასები ძლიერ კარგია იჯარისა და შეღავათიცა და ხალისიც მიეცემათ იჯარადრებს უკეთესის შენობების გასაკეთებლადაო. საბჭომ მოიწონა ასეთი აზრი გამგეობისა და დაამტკიცა მოხსენებული ვაჭრობა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ბარის ოსები**, 1 ოქტომბერი. ბევრჯელ კვლავაც ყოფილა მოხსენებული „ივერიაში“, რომ ბარის ოსებში ქალის მოტაცებით ბევრი დიდი უბედურება მომხდარა, ბევრჯელ სისხლი დაღვრილა, ბევრი კაცი დაკარგულა და ორი გვარი სამუდამოდ მოსისხლეებად დარჩენილან, მაგრამ, წარმოიდგინეთ, ამ ჩვეულების აღმოკვეთას ვერც სისხლის დაღვრამ უშველა, ვერც კაცის დაკარგვამ და ვერცარა სხვამ. ამ წარსულს ზაფხულში, ოლგინსკელმა ძიღუთოვმა მოიტაცა ოლგინსკაშივე მცხოვრების ძიგოევის ქალი; ძიღუთოვს ორი ამხანაგი ჰყავდა მოტაცების დროს; ქალი გაიტაცეს ძალადობით და რადგანაც ქალი არ დანებდა მომტაცებელს (საქმროს),

## ფელეტონი

---

**მთესველის სიმღერა.**

ნიკორამ რომ ხნა სამყარო,
მე წილად თესვა მამერგო;
მეც უნდა ვთესო, იმედი
ღრმად მისს გულ-მკერდში დავნერგო!

—

რა იცით, როგორ ძნელია
მიწის ჩახედვა მუდამა,
ლუკმის გულისთვის იმის წინ
ქედის ხრა, თხოვნა, მუდარა,
ცა-ღრუბელთ დაუდეგრობა,
შიმშილ-სიტილვლის მუქარა

—

იმ დღით ამ დღემდე ასე ვარ,
ცით მხოლოდ ესა მრგებია,
სხვა არც კაცობა მიგრძვნია,
არც პირში ენა მდებია.

—

ცული ვყოფილვარ, ჩემივე
მარჯვენა ტარად მგებია;
იმით უმტვრევავ კლდე ყველას,
დუშმანი უგერებია.

—

განა თუ ტვირთი მოუხდავ,
ან ვისმე დაჰნანებია...
დახედეთ, კაცი შავს მიწას
რა რიგად უფერებია!!

—

თესლო, შენ მაინც ისმინე
საწყალის კაცის მუდარა;
შენ მაინც ნუ უღალატებ,
გაახაროდე მუდამა,
იცოცხლოს—ასულდგმულებდე,
მოკვდეს—ჩააცვი სუდარა!

—

უყურეთ, შავი სამყარო
წინ როგორ გადამფენია,
თესლს ელოდება, ჩაყლაპოს,
ბნელი ყბა დაუღრენია,
მაგრამ კეთილად მიიღებს?
ეს რო არ დაუმჩნევია!

—

თუ მართლა თესლი წამიხდა,
ჯეჯილმა დაიგვიანა,
არ მაიყვანა მამულმა,
მზე-წვიმამ დამიზიანა
და ჩემი ნაწვავ-ნადაგი
ეშმაკმა გაიზიარა—

—

მე მაინც ქრისტეს მცნებასა
წინ სანთლად გავიმძღვარებო:
„მთესველო, თესლი კეთილი
თესე, დროს რად ახანებო“
გულს მოვკლავ ორგულისასა,
ერგულს-კი გავახარებო.

თ. რაზიკაშვილი

## წერილი ნიციდგან

გარიბალდის ძეგლი.

„სჯობს სახელისა მოხვეჭა
ყოველსა მოსახვეჭელსა“.
შოთა რუსთაველი

გუშინ აქ დიდი ამბავი იყო. ჩვენის ანგარიშით 22 სექტემბერს და აქაურის ანგარიშით, ესე იგი, ახალის სტილით, 4 ოქტომბერს გარიბალდის ძეგლის ამართვა იყო დანიშნული.

გარიბალდი, იტალიის სახელოვანი შვილი და იტალიის თავისუფლებისა და შეერთებისათვის მებრძოლი, დაიბადა ნიცაში (4 ივლისს 1807 წ.). გარდა იმისა, რომ იტალია ახლა ავსტრიის, ბურბონების და რომის პაპის მფლობელობისაგან განთავისუფლებული და ერთს სამეფოდ შეერთებულია გარიბალდის მეოხებით, საფრანგეთისთვისაც გარიბალდის დიდი ღვაწლი აქვს დადებული. 1870 წელში გერმანიის ჯარი დაესია საფრანგეთს, ნაპოლეონ მესამის იმპერია დაეცა, საფრანგეთში რესპუბლიკა შესდგა და საფრანგეთი გამარჯვებულს მტერს გამწარებული ებრძოდა, მტრის ქვეყნიდგან განსადევნელად უკანასკნელს ღონეს ჰხმარობდა, გამბეტტას მეცადინეობით და საკვირველის ენერგიით მთელს ფრანგთა ერს თავი გადადებული ჰქონდა სამშობლოს დასაცველად... ამ მშვენიერს ქვეყანას და ამ მშვენიერს ხალხს მთელი ქვეყანა, მთელი ევროპა გულხელ-დაკრეფილი უმზერდა და ერთი ისეთი სამეფო არ გამოჩნდა, რომ თითი მაინც გაექნია თითქმის სასოწარკვეთილის საფრანგეთის მისაშველებლად... აი ამ დროს, ამ შავის დღისთვის მოვიდა საფრანგეთში იტალიიდგან გარიბალდი ახალ დადგენილ რესპუბლიკის დასახმარებლად და ძმურად მოაშველა საფრანგეთს მაშინ სამოც-და-სამის წლის მოხუცმა გმირმა თავისი ბევრგან და მრავალჯერ გამარჯვებული ხმალი და მკლავი, თავისი ორი ვაჟკაცი შვილი, მენოტტი და ლომებრ გულადი რიჩიოტი და თავისი დასი ვაჟკაცთ-მეომართა. თითქოს მაშინ მოიდგა სული საფრანგეთმა. გარიბალდი შეუდგა მტერთან ბრძოლას, მარჯვედ ებრძოდა გერმანიის ჯარსა, გაიმარჯვა შატილიონსა, ოტენსა და ბოლოს დიჟონთან იმისმა შვილმა წაართვა გერმანიის ჯარს დროშა და თითონ მოხუცმა გმირმა წაართვა გამაგრებული ქალაქი დიჟონი, რომელიც წინად იმათ წაერთვათ საფრანგეთისათვის და ხელში მაგრად ეჭირათ; წაართვა გერმანელებს გარიბალდიმ ეს დიჟონი და დროშიანად საფრანგეთს დაუბრუნა!.. თითქო ბედმა მოჰხედა საფრანგეთს და

თურმე ამხანაგები მიეშველნენ, ერთს ჭალაში საბრალო ქალი ნაბადში შეახვიეს და შეჰკრეს... რასაკვირველია, ჩავარდა საჩივარში საქმე და ამ სექტემბრის ოცში კავკავის ოლქის სასამართლომ ძილუთოვს საუკუნოდ ციმბირში გადასახლება გადაუწყვიტა და იმისს ამხანაგებს,—ერთს ერთის წლით დატუსაღება და მეორეს ექვსის თთვით. ახლა ამ სამ-ოთხს გვარში თითქმის შვილი შვილამდე აღარ დაიწმინდება წყალი და ერთმანეთს მოსისხლეებად უნდა გაუხდნენ.

ჯერ კიდევ ეს საქმე არ გაეთავებინათ, რომ სექტემბრის მიწურულებში გავარდა კიდევ საზარელი ხმა, არდონში არდონელმა მოიტაცა არდონელივე ქალი, თითქმის ოთხიხუთი დღე გავიდა, აღარსადა სჩანდნენ აღარც ქალი და აღარც მომტაცებელი; ხუთის დღის შემდეგ-კი შემთხვევით მწყემსებმა მინდვრად ფარეხში დამრჩვალი იპოვნეს საბრალო ქალიო. ზოგი იძახის, ქალი რომ მოეტაცნათ, საბანი მოეხვივნათ თავზედ & პირზედ, ცხენის ურემში ჩაეწვინათ & ზემოდგან დასწოლოდნენ, არ დაიყვიროს და ხმა არავინ გაიგონოსო, ამის გამო სული შეჰგუბებოდა და დამრჩვალიყოო. მომტაცებლებს ვეღარა ექნათ-რა, ამდგარიყვნენ და ფარეხში დაეტოვებინათო. ზოგნი კიდევ იმას ამბობენ, რომ ქალი ფარეხში მიეყვანათ, გაეუპატიურებინათ და ისე დაეტოვებინათ. გაწბილებული ქალი ამდგარიყო და თავისით ჩამოერჩო თავიო; ასე იყო, თუ ისე, საბრალო ქალი-კი უდროოდ მზეს მოშორდა. მომტაცებლები, რასაკვირველია, დაისჯებიან, დასამი-ოთხი გვარი სამუდამოთ მოსისხლეებად დარჩება. თვით ოსებში ბევრს ეცადნენ, ბევრი ილონეს, მაგრამ ვერაფერით მოუღეს ბოლო ქალის მოტაცებას.

ახლა ძნების დაწვაც თითქმის მოდად შემოიღეს ბარის ოსებში. სექტემბრის შუა რიცხვებში სოფ. ზილგეს მცხოვრების გუდიევის ძნებს მისცა ცეცხლი ვიღაც ბოროტმა მოქმედმა და სულ ერთიანად გადაუწვა წლის მოსავალი საბრალო წვრილშვილს კაცსა. გამოძიება სწარმოებს.

ჩვენში დიდი სიცივეები დაიჭირა. ამისი მიზეზი ის არის, რომ კავკასიონის მთებმა თეთრად გადმოგვანათა & მძიმე ფიქრში ჩაგვაგდო. ზოგ-ზოგს ალაგას სიმინდები ისევ ნედლია და ვაი თუ დაგვიძრასო.

სოფ. ხუმელაგაში ოც-და-ათს სექტემბერს საღამოს ცა მოღრუბლული იყო და აღმოსავლეთის მხრიდგან ცივი ნიავი ჰქროდა. ჯერ ისევ საათის ცხრა იყო, ყველას გვეღვიძა, რომ უეცრად მოგვესმა თოფების ჰახა-ჰუხი და ზარების რეკვა. ყველანი გარედ გამოვცვივდით და დავინახეთ ჩრდილოეთით, სოფლის განაპირისკენ, ცეცხლის შუქი, რომლის ალიც ჰაერში აქეთ-იქით იკლაკნებოდა. ყველანი იქით გავეშურენით, მაგრამ გვიანღა იყო. ხუმელაგაში მცხოვრების ბესლანა გუკაევის ძნებისათვის ვიღაცა ღვთის უარმყოფელს ცეცხლი მიეცა და ძნას გუგუნი გაჰქონდა. ხალხმა ძნას ვეღარა გადაარჩინა-რა, მხოლოდ სხვა მოსახლეების ძნებს უვლიდნენ და წყალს ასხავდნენ, ნედლს ბალახებსა და ტირიფის ფოთლებს აფარებდნენ, რომ ისინი მაინც გადაენარჩუნებინათ. საზოგადოდ ცეცხლის წაკიდება ამ ჟამად ძალიან გახშირდა ბარის ოსებში და ეს დიდი უბედურება თითქმის ჩვეულებად შემოიღეს, მეტადრე ამ ჭინახულის ძვირობაში.

ქართველი-ოსებში

## „უბის წიგნში“ ჩაწერილი

მეუბნებიან, კაცო, რას ჩასციებიხარ ამ ბათუმს და ყოველს წელს ზაფხულობით იქ მიდიხარ; ნეტა ან რა მიგაქვს იქ და ან რა მოგაქვს იქიდამაო. ერთხელ სხვა მხარეს წადი, შე კაი კაცო, იქნება სხვა მხარეს უფრო დიდი პატივი და სარგებლობა გქონდესო—შეგირდებსაც-კი თან წაასხამ ხოლმეო. ჩემი დარდი და გულის ტკივილი-კი არ იციან. ამ ათის წლის წინად რომ პირველად ბათუმში წავედი, ისეთმა გრძნობამ შემიპყრო, რომ შეუძლებელი იყო, ზაფხული დამდგარიყო თუ არა, კვლავ იქ არ წავსულიყავი. სადაც ჩვენ ვიყავით, ჩამომხდარი, იქვე ახლო ოთხი სახლობა სცხოვრობდა გამაჰმადიანებულ ქართველებისა. თხუთმეტ-თექსვეტამდე ყმაწვილი ჰყავდათ. აი სწორედ ამათმა სიბრალულმა შემიპყრო და ამიტომ ყოველს წელიწადს ზაფხულში ბათუმს არა ვშორდები. ისე შემიყვარდნენ ის ყმაწვილები, ისე რომ... აბა რა ვსთქვა, როგორც ჩემი ღვიძლი შვილები. გული არ მაძლევდა ნებას, რომ თვალი მომერიდებინა იმათთვის და ყური არ დამეგდო იმათის ლაპარაკისათვის. დიაღ, იმათის ლაპარაკისათვის. ისეთს ტკბილს ქართულს ლაპარაკობენ, რომ ჩემს სიცოცხლეში ისეთი ქართული არსად არა მსმენია. საკვირველია, მე თვითონაც არ მესმის, რად მეჩვენებოდა იმათი ქართული ისე ტკბილად, ის ყმაწვილები ხნით იქნებოდნენ ესე ოთხის წლისანებიდგან დაწყებული ათ წლისანებამდე. ორი ქალი იყო და დანარჩენები ვაჟები. იმათის სახის სითეთრე, ფეხ-მარდობა, სხაპა-სხუპით ლაპარაკი, ამაყი და ფიცხი გული ცხადად ამტკიცებდა, რომ უეჭველად გურულები უნდა ყოფილიყვნენ. სადაც ჩვენი სადგომი იყო, იმ სადგომის ფანჯრის წინ იყრიდნენ ხოლმე სათამაშოდ თავს. ის ქუჩა მივარდნილი ქუჩა იყო და ფაიტონი ხშირად არ დადიოდა. ამათი შემაცქერალი ერთსა და იმავე დროს მხიარულადაც ვიყავი და მწუხარედაც. მხიარულად იმიტომ რომ, მესმოდა იმათი იმდენის ხნის განმავლობაში სუფთად და ფაქიზად შენახული ქართული დედაენა. მწუხარედაც იმიტომ, რომ ვიგონებდი იმათს წარსულს, ვუკვირდებოდი ეხლანდელს ცხოვრებას და ვფიქრობდი, ნეტა მომავალში როგორ იქნება იმათი საქმე-მეთქი. ნამეტნავად მაშინ ვწუხდებოდი დი მიკვდებოდა გული, როდესაც ერთმანეთს სახელებს დაუძახებდნენ: მაჰმად, ალი, შაჰგაზ, ომარ და სხვა... ჯავრისგან სისხლი თავში ამივარდებოდა-ხოლმე, ვამბობდი: ოჰ, ამ ჩვენ სისხლსა და ხორცთან რა უნდა მაჰმადას, ან ომარას-მეთქი. სრულიად არ უხდებოდათ ის სახელები იმ ყმაწვილებს, როგორც არ მოუხდება თეთრს ნაჭერს შავი საკერებელი, უხეირო ხილის ხეზედ ნაქებს ხილს ამყნობენ. ამათ-კი რომ ვუცქეროდი, ასე მეგონა რომ თურაშაულს ვაშლზედ მაჟალო უმყნიათ, კარგს გულაბს მსხალზედ მახრჩობელა პანტა მეთქი. იმ ყმაწვილებში ოსმალოელი ყმაწვილებიც ირეოდნენ და თამაშობდნენ. მნახველი ძალიან ადვილად შეატყობდა, რომელი იყო გამაჰმადიანებული ქართველი და რომელი ჭეშმარიტი მუსულმანი. ჩხუბში ქართველ მაჰმადიანები და ნამდვილი თათრები უფრო ადვილად ირჩეოდნენ ერთმანეთისაგან. ყმაწვილები თამაშობდენ ჩვენებურს სათამაშოებს, თამაშობაშიაც და ისეც თათრულს სრულიად არა ლაპარაკობდნენ. ერთხელ ბურთსა თამაშობდნენ. ერთმა ქართველმა კაცმა გამოიარა, ბურთს ფეხი დაჰკრა და შორს გადაუძახა. ნამდვილ თათრის ყმაწვილმა, რომელიც მოთამაშეთა შორის ყველაზე უფროსი იყო, მიაძახა ამ კაცს:—ჰაი შე გიაურო, შენაო. ამაზე მაშინვე მივარდა ერთი ქართველი მაჰმადიანი და კინაღამ თითებით თვალები გამოსთხარა:—გიაური შენა ხარ, შე ღორო შენა! ეგ ხომ ქართველიაო.

— ჰო, და მაგათ ეძახიან გიაურებს.

— მაგათ-კი არ ეძახიან გიაურებს, იმათ ეძახიანო, რაღაც სახელი უთხრა, ვიგონებ და ვერ მომიგონებია, დასწყევლოს ღმერთმა, რაღაც უკუღმართი სახელი იყო.

— ეს ამბავი იმის მიზეზით თუა, რომ დედ-მამას სახლში თავიანთის წარსულისა ულაპარაკნიათ და ყმაწვილებსაც დახსომებიათ, რანი-ყოფილან და ეხლა რანი არიან.

ეხლა-კი ნება მაქვს, სწორედ ვკითხო ჩემს თავს: რა ვქნა და რომელს ქვას ვახალო თავი-მეთქი. აქ, ბათუმში, გულების მოგება დავტოვო და წავიდე სხვაგან ფულები მოვიგო? განა იმისთვის მომანიჭა ბუნებამ სიცოცხლე, რომ მარტო ფულები მოვიგო და ჩემი თავი ვაცხოვრო? არა, არა, მე ჩემს სამშობლოს, ჩემს მიწა-წყალს ვერა ვგმობ.

აი ეს მიზეზი მიწვევდა ბათუმისაკენ. მოდი და ნუ წავსულიყავი. არა, თუ წავსულიყავი, რომ წავიდოდი, ჩამოსვლაც-კი არ მინდოდა იქიდგან. შეგირდებს ვგზავნი ხოლმე აჭარის სოფლებში, მე-კი ბათუმში ვრჩები. საშინლად უყვართ ქართული სიმღერა და ხმები ქართველ-მაჰმადიანებს. სადაც გვემღერა ან ჩვენ, ან შეგირდებს, მოგროვდებოდნენ და ყურს გვიგდებდნენ აღტაცებით. მე ის-კი არ გამეხარდებოდა, რომ ბევრი ფული მიეცათ ჩვენთვის, მხოლოდ ის მინდოდა, ქართველი მაჰმადიანი მყოლოდა მსმენელი. მუშტარიც იმ დროს და იმ ადგილს ისიამოვნებდა ჩვენგან, სადაც ბევრი გამაჰმადიანებული ქართველი მოგროვდებოდა, იმიტომ რომ, რამდენიც შემეძლო, გულიანად ვამბობდი სიმღერას. ცუდად ყოფნის დროსაც იმათვის გამოსადეგს ლექსებს ვწერდი და ვურიგებდი ქარფველ-მაჰმადიანებს. მაგრამ რას იზამ, რომ ამათს საქმეს თათრის მოლები ახდენდნენ. მკვიდრთა აზრი სხვა იყო და ისინი-კი სულ სხვას აგონებდნენ და სხვას უქადაგებდნენ. თითონ ხომ ძალიან სძულთ ჩვენი ხალხი და იმის ცდაში არიან, იმათაც მოაძულონ. აი მაგალითად, რა ლაპარაკი მოგვიხდა მე და ერთს ქართველს ყმაწვილს მოლასთან, როდესაც მივედით იმათს წიგნთსაცავში, მეჩითის გვერდით, თათრულ ანბანის სასყიდლად. ქართველმა ყმაწვილმა, როგორც ოსმალურის კანონიერად ლაპარაკის უცოდნელმა უთხრა წიგნების გამყიდავს მოლას:

— უსტა, უსტა, ბირ, ონი ვერო[1]). და მიუთითა წიგნზე.

გაბრაზდა ქრისტიანის მიუკარებელი მოლა და თვალების ბრიალით უთხრა:

— გეთ, გეთ, ბურდა უსტა იოხტურ, უსტა დაშ იონანდჰ დვარ იაფანდ[2]).

მე გამეცინა და ვუთხარი:

— ხომ ჰხედავ, რომ ჯერ თათრული ლაპარაკი ვერ მოუხერხებია, და თქვენი მოქალაქური ლაპარაკი სად ეცოდინება-მეთქი, თუ არა და რა კაცის დამცირებაა ოსტასტის თქმა, ერთი მითხარი? აღარ დავაცადე პასუხის მიცემა და განვაგრძე სხაპა-სხუპით მარდ გურულივით:—რა კაციც რა საქმეშია, იმის ოსტატიც ის არის, აქ რა არის საწყენი-მეთქი. იმ ყმაწვილმაც გამოსტაცა ხელიდგან წიგნი, რომელიც უნდა მიეწოდებინა და ჩემს ლაპარაკზედ გაშტერებულს, ხელში შერჩენოდა. აქ გამწვავდა ლაპარაკი. ამ დროს წამოხტა გაბრაზებით ერთი ახალგაზდა ყმაწვილი ქართველ-მაჰმადიანი, ესე თოთხმეტის წლისა, რომელიც იქვე ახლოს, დუქნის გვერდით იდგა. როგორც ეტყობოდა, ოსმალეთის სამხედრო სასწავლებელის მოსწავლე უნ-

[1]) ოსტატო, ოსტატო, ერთი ის მომეციო.

[2]) წადი, წადი, აქ ოსტატი არავინ არ არის, ოსტატი ქვის მთლელი და კალატოზია.

---

იქნება გამარჯვებულიც გამოსულიყო ომიდგან, საშინელი, ზარ-დამცემი ღალატი რომ არ მოეხდინა სწორედ იმ დროს იუდა ისკარიოტელის მიმდევარს, მარშალს ბაზენს: უკანასკნელი ჯარი საფრანგეთისა ამ იუდა ბაზენმა ხელში ჩაუგდო გერმანელებს და ამ ღალატით ყელი გამოსჭრა თავისს ღვიძლს დედა-საფრანგეთს. ომი უნდა გათავებულიყო და კიდევაც გათავდა იმითი, რომ ორი მშვენიერი პროვინცია, ელზასი და ლოტარინგია, სოფლებ-ქალაქებითურთ, საფრანგეთს გერმანიისათვის უნდა დაეთმო და ზედ ხუთი ათასი მილიონიც (ხუთი მილიარდი) დაეყოლებინა...

მას აქეთ ოცი წელიწადი გავიდა. ამ ოცს წელიწადში საფრანგეთი ძლიერი შეიქნა, მაგარი ყოვლისფრით და მდიდარი, და ახლა რომ მოუხდეს ომი გერმანიასთან, მზად არის გადუხადოს, რაც გერმანიამ ვალი დასდო ამ ოცის წლის წინად, ე. ი. 1871 წელს...

ფრანგები იმისთანა ხალხია, რომ დიდხანს ახსოვთ ავიცა და კარგიც; გერმანელებიც ხომ სულითა და გულითა სძულთ, ისე, როგორც ჩვენს მამა-პაპათ სძულდათ ყიზილბაშნი, საქართველოს ამკლებელ-ამაოხრებელნი, ამას რა თქმა უნდა და რომ ახსოვთ ღვაწლიც რომელიც უცხო ქვეყნის, იტალიის, გმირმა გარიბალდიმ დასდო საფრანგეთს, ესეც ცხადია. გარიბალდის აღტაცებით იხსენიებენ საფრანგეთში ყოველთვის და მეტადრე ეხლა, როდესაც იტალიაში საფრანგეთს ბევრი მტერი ჰყავს, მას აქედ, რაც იტალიის მთავრობა შეუკავშირდა საფრანგეთის მოსისხლე მტერს, გერმანიას და რაც შესდგა სამთა კავშირი: გერმანიისა, ავსტრიისა და იტალიისა, ორი ქვეყნის: საფრანგეთისა და რუსეთის წინაამდეგ.

და ან როგორ დაივიწყებდა ეს გულადი და პატიოსანი ხალხი გარიბალდის სახელს და გარიბალდის მხრით მისდამიმართ გამოჩენილს თანაგრძნობას!

ამიტომ ნიცაში, სადაც გარიბალდი დაიბადა და აღიზარდა, ნიცაში, რომელიც უწინ იტალიას ეკუთვნოდა და აგერ ოც-და-ათი წელიწადია, რაც საფრანგეთს შეუერთდა (1860 წ.), გარიბალდის მშვენიერი ძეგლი დაუდგეს.

მშვენიერი ძეგლი გარიბალდისა ვარრარის მარმარილოსია და თეთრია, როგორც თოვლი. გარიბალდი, თითქოს ცოცხალი იყოსო, ამაღლებულს ქვის საძირკველზედ ვაჟკაცურადა სდგას, შორს გაიხედება, ხელში ხმალი უჭირავს და თავი აწეული აქვს, თითქოს აგერ საცაა დაიძახებს იმ სიტყვას, რომელსაც ხშირად შესძახებდა ხოლმე თავისს გულადს ვაჟკაცებს: Avanti! (წინ, მარჯვედ იყავით, წინ წადეგითო).

ვისაც ახსოვს ეს იტალიის გმირი, სუყველა ამბობს, რომ სახით, ტანით, გამომეტყველობით საკვირველადა ჰგავს გარიბალდის ეს ქანდაკებაო.

ფეხ-ქვეშ მარჯვენა და მარცხენა მხრით ბრინჯაოს ორი დიდი ლომი ზარბაზნებზედ წამოწოლილა. ეს ორი ლომი იგავით ჰნიშნავს საფრანგეთის ძლიერებას და ვაჟ-კაცობას, ჯერჯერობით დასვენებულს ომის დაწყებამდე, მაგრამ ომისათვის-კი გზას.

ძეგლი აყუდებულია ფარდო აუზში და ძეგლის საძირკველი წყალში სდგას, თითქოს ოთხს ნავზედ.

აქეთ-იქით სხვა-და-სხვა ბრინჯაოსავე ნივთებია: აგერ ორი მშვენიერი ქალი, საფრანგეთი და იტალია, რომელნიც პატარა ბავშვს ეალერსებიან, ესე იგი, იტალიის ახალს დაბადებულს თავისუფლებას; ათიოდე ყმაწვილი ქალი, მხიარულად ერთმანეთზედ გადახვეული, ერთმანეთს ჰკოცნიან და ეალერსებიან, ესენი იტალიის უწინ განცალკევებულნი და დაშორებულნი და ახლა ერთ სამეფოდ შეერთებულნი იტალიის სხვა-და-სხვა მხარენი და ქალაქები არის.

ეს ძეგლი გააკეთა ერთმა საფრანგეთის ნიჭიერმა მოქანდაკემ, დელუამ (Deloye).

თუმცა იტალიის მთავრობა საფრანგეთის მტერთან არის შეკავშირებული და ომი თუ მოხდა საფრანგეთსა და გერმანიას შორის, იტალიის მთავრობა აპირობს, გერმანიას მიემხროს საფრანგეთის წინააღმდეგ, თუმცა ეს ასეა, იტალიიის ხალხს მაინც უყვარს საფრანგეთი, რადგანაც ორივე ხალხი ერთის, ლათინთა ტომისაა და, ამას გარდა, იტალიის ხალხს ისიც ახსოვს, რომ საფრანგეთმა, ნაპოლეონ მესამის მეფობიდგან განთავისუფლდა თუ არა, მაშინვე დაუთმო იტალიას მისი დედა-ქალაქი რომი, რომელსაც ნაპოლეონი არ ანებებდა. გარდა ამისა, ფრანგებსა და იტალიელებს მრავალჯერ უომნიათ ერთად, ერთმანეთის დახმარებით, ავსტრიის წინააღმდეგ, ასე რომ ვინც-კი იტალიის ერში უკეთესია, ყველას უყვარს გულით საფრანგეთი.

გუშინდელ დღისათვის საფრანგეთის ქალაქებიდგან და მეტადრე პარიჟიდგან ბევრი გამოჩენილი კაცი მოვიდა, მაგალითად, მინისტრი რუვიე, სენატორი რანკი, ბევრი დეპუტატი; ჟურნალისტები და სხვა მრავალი გამოჩენილი კაცი მოვიდა იტა-

და ყოფილიყო. ამან გაცხარებით შეუტია მოლას:

— ნადრ ნახაბარდრ, ნა ყავლა ედიერსნ[3])?

მერე ჩვენ შემოგვხედა და სიამოვნებით დაგვიწყო ქართული ლაპარაკი:

— რა იყო, რა უნდა გეყიდათ, ან რაზედ გაგაჯავრათ? ქართველმა ყმაწვილმა გაუმეორა იმ ყმაწვილს თავის ნალაპარაკევი. ყმაწვილმა დაიწყო ჯავრობა. ჩვენი თვალები იმ ყმაწვილზედ დარჩა, წიგნიც დაგვავიწყდა და სუყველაფერიც. მე ვუთხარი ჩუმად ქართველს ყმაწვილს:

— ამას სხვა სული უდგას და სხვა სისხლი უდუღს ძარღვებში-მეთქი.

ყმაწვილმა მხოლოდ სრულიად მიიზიდა ჩვენი ყურადღება. ცნობის მოყვარეობით გამოვკითხე ვინაობა და ყოველი გარემოება. ყმაწვილმა აი რა გვითხრა:

აბაშიძე ვარო. სახელად ასლანა მქვიანო: წინად აქ ვკითხულობდი ქართულს წიგნს ეხლა-კი ტრაპიზონში სამხედრო სასწავლებელში ვარო.

— მაშ ეხლა არ იცი ქართული კითხვა? ვკითხეთ ჩვენ.

— ვიცი, რატომ, ცოტ-ცოტა.

— ცოტ-ცოტა რად უნდა იცოდე ქართული კითხვა, სუყველაზედ კარგად ეგ უნდა იცოდე. იმას-კი არ გეუბნებით, რომ სხვა ენებს ნუ ისწავლი, არა, რამდენიც ბევრი ენა იცოდე და სწავლა გქონდეს, იმდენი უკეთესი იქნება შენთვის, მაგრამ ყველაზედ მკვიდრად-კი ქართულს წერა-კითხვას უნდა მოსჭიდო ხელი, იმიტომ რომ ის არის შენი დედაენა.

ყმაწვილს ქართული წიგნები მივეცით. ასეთმა საჩუქარმა ყმაწვილი დიდად გაახარა და დიდი მადლობაც გადაგვიხადა. ვინ იცის, რამდენია ასეთი კარგი ყმაწვილი გამაჰმადიანებულს საქართველოში, დანატრულებული ქართულს წიგნსა და წერა-კითხვის ცოდნას! ჩვენ-კი ბაიბურშიაც არა ვართ. ჩვენს ძმებს წიგნის ცოდნა სწყურიათ, სწავლა-განათლება უნდათ და ჩვენ-კი არაფერს არ ვაკეთებთ. სირცხვილი ჩვენთვის, ქართველებო, სირცხვილი!

ჰაზირა

[3]) რა არის, რა ამბავია, რას ეჩხუბებით.

# რუსეთი

გაზეთ „Русск. Вѣдом.“-ში ბერლინელის კორესპონდენტის საყურადღებო წერილია დაბეჭდილი სიმინდის შესახებ: „ამერიკის სამეურნეო დეპარტამენტმა გამოჰგზავნა ბერლინში თავისი საგანგებო აგენტი ჩარლზ მორფი და დაავალა, რათა გააცნოს, როგორც მთავრობას, აგრეთვე ხალხსაც, სიმინდ-ნარევ ჭვავის პურის გამოცხობა. აზრი ამ ელჩის გამოგზავნისა ის არის, რომ, რადგანაც წრეულს ევროპაში და განსაკუთრებით გერმანიაში ჭვავის ნაკლებულებაა და სიძვირე ჩამოვარდა და, პირ-იქით, ამერიკის შეერთებულს შტატებში-კი ძლიერ კარგი სიმინდის მოსავალია, ამიტომ შესაძლოა და სასურველიც, რომ გერმანიამ ამერიკიდგან სიმინდი დაიბაროს, სიმიდ-ნარევის ჭვავის პური გამოაცხოს და ამითი მაინც მისცეს შეღავათი ჭვავის სიძვირით გამოწვეულს ხალხის გაჭირვებასაო. ბ-ნი მორფი ამბობს, რომ სიმინდ-ნარევი ჭვავის პური უფრო ნოყიერია, ვიდრე ჭვავისა, და გემოთიც არ ჩამოუვარდება. ამასთან დასძენს, რომ, რადგანაც სიმინდი გაცილებით იაფია ჭვავზედ და მეორეც რადგან გამოცხობაშიც ბევრსა ჰმატულობს, ამიტომ სიმინდ-ნარევი ჭვავის პური ძლიერ იაფად დაჯდებაო. ამის დასამტკიცებლად ბ-ნმა მორფმა, მოვიდა რა ბერლინში, იმ დღესვე გამოაცხობინა თურმე სიმინდ-ნარევი ჭვავის პური და წარუდგინა გერმანიის მეურნეობის მინისტრს. ბერლინის სამხედრო უწყებამ დიდი ყურადღება მიაქცია ამ საგანს და შეუდგა იმისს გამოძიებას, რამდენად მართალია მორფის აზრიო. „მე შემემთხვა ამ საგანზედ მორფისთან ლაპარაკიო—ამბობს კორესპონდენტი: და დავრწმუნდი, რომ იმის პროექტი რუსეთისთვისაც ძლიერ სასარგებლო იქნებაო. ოდესიდგან, როსტოვიდგან, ნიკოლაევიდგან და სევასტოპოლიდგან ყოველ წლივ მილიონობით გააქვთ საზღვარ-გარედ სიმინდი. ეს სიმინდი საზღვარ-გარედ გაგზავნის მაგიერ, რუსეთის დამშეულს გუბერნიებში რომ გაიგზავნოს, დიდს შეღავათს მისცემს ხალხს, რადგან ჭვავზედ თითქმის ერთი-ორად იაფია და, რაც უნდა იყოს, ხის ქერქს ხომ სჯობია, რასაც პურში ურევს ჩრდილოეთ გუბერნიების დამშეული ხალხიო. მორფიმ სიმინდ-ნარევის ხორბლისა და ჭვავის პური მაჩვენა. ეს პური წმინდა ხორბლისა და ჭვავის პურის გემოსია, მაგრამ ცოტა-კი მოტკბილო. ერთის გირვანქა ჭვავისა და ერთის გირვარქა სიმინდისა 4 გირვანქა პური ცხვება. ცხადია, რომ ამ პურში ბევრი წყალი უნდა იყოს, მაგრამ მორფიმ სანდო ქიმიკოსების ანალიზები წამიკითხა, რომელნიც ამოწმებენ, რომ 4 გირვანქა ჭვავ-სიმინდის პური იმდენადვე ნოყიერია, რამდენად წმინდა ჭვავის 4 გირვანქა პურიო. რამდენად მართალია ეს ანალიზი, მე არ ვიცი, მაგრამ რაც უნდა იყოს, ურიგო არ იქნება, რომ ამ საქმეს ყურადღება მივაქციოთ, მით უმეტეს, რომ სიმინდის მოტანა შორიდგან არ დაგვჭირდება, რადგანაც ჩვენ თითონ ძლიერ ბევრი სიმინდი მოგვდის სამხრეთს რუსეთშიო“.

— გაუწერელ გარდასახადთა დეპარტამენტის ანგარიშიდგან სჩანს, რომ სასმელებზე სახელმწიფო გარდასახადის შემოსავალი 1890 წ.—268,338,080 მანათი ყოფილა, ე. ი. სავარაუდო ხარჯთ აღრიცხვისთვის 15,034,500 მანათით გადაუჭარბებია, მაგრამ 1889 წლის შემოსავალზედ-კი 6,527,344 მანათით ნაკლები შემოსულა. მაშასადამე 1889 წლის ჭინახულის მოუსვლელობის გამო 1890 წლის სასმელების გარდასახადის შემოსავალსაც უკლია, თუმცა იმოდენად-კი არა, რაც სავარაუდო ხარჯთ აღრიცხვით იყო ნაანგარიშევი.

— გაზეთ „Рус. Вѣд.“-ის გამოუანგარიშნია, რომ იმ გუბერნიებში, რომელიც მეტად დაზარალებულია ჭინახულის მოუსავლობით, დამშეულთ რიცხვი 13,728,000 სულსა სჭარბობს. ამათში სულ ცოტა 6—7 მილიონს კაცს დასჭირდება დახმარება მთავრობისა მიერ, თითო კაცისთვის მთავრობისაგან დანიშნულია მიეცეს სესხად თვეში 30 გირვანქა სათესლედ და 10 თ ვის განმავლობაში ე. ი. მომავალ ჭინახულის მოსავლამდე, $7^1/_2$ ფუთი პური კაცის თავზე. ასე რომ მარტო ამ გუბერნიების მცხოვრებთ რომელიც ნამეტნავად არის მოუსავლობის გამო დაზარალებული, დასჭირდებათ 45—50 მილიონი ფუთი პური და იმ პურის ყიდვა და დაზარალებულს გუბერნიებში მიტანა სულ-ცოტა 50 მილიონი დაჯდებაო.

— გაზეთი „Од. Нов.“-ის სიტყვით, ოდესის გრამატიკაკის თევზის ქარხანაში ამ დღეებში შემდეგი უბედურება მომხდარა: ვახშმის შემდეგ ქარხნის მუშებს ლაპარაკი მოსვლიათ იმის შესახებ, ადამის წინად ხალხი იყო ქვეყნიერობაზე, თუ არაო. ერთი, ნიკიფოროვი, ამტკიცებდა თურმე, რომ ადამის წინად ქვეყანაზე ხალხი სცხოვრობდაო და ყველა მეთევზე იყოო. ამაზე ლეზნევი არ დაეთანხმა და უმტკიცებდა თურმე ადამი პირველი კაცი იყოო. ამ კამათობაში ჩხუბიც მოსვლიათ. ჩხუბის დროს გაცეცხლებულს ნიკიფოროვს აუღია დანა, ლეზნევისთვის მარცხენა ფერდში დაუცია და უთქვამს: „აი თუ არა გჯერა, რომ ადამის წინადაც ხალხი იყოო“. როცა პოლიცია მისულა ქარხანაში, ლეხნევი უკვე მკვდარი დახვედრია. ნიკიფოროვი იქვე შეუპყრიათ.

# წვრილი ამბავი

თუ რა ძალა შეიძლება შეიძინოს მოხერხებულმა კაცმა ქონება, შემდეგის ამბიდგანა სჩანს. ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატების მცხოვრებელს ჯონ როკფელლერს ამ ჟამად ძლიერი აღებ-მიცემა აქვს გამართული და იგივე აწარმოებს ნავთისაც ამერიკაში. მესამოც-დაათე წლებში ჯონ როკფელლერი ერთს სავაჭრო კანტორაში ემსახურებოდა ბუხგალტერად და ძლიერ მცირე ჯამაგირი ჰქონდა. შემთხვევით ერთი კაცი გაიცნო, რომელიც ნავთზე მუშაობდა და შემდეგ უკეთესი ღონეც მოიგონა ნავთის გაწმენდისა. ეს ორი კაცი ძლიერ დაახლოვდნენ, დამეგობრდნენ და გამართეს თავიანთის მცირედის შეძლებით ნავთის საწმენდი ქარხანა. რადგანაც ამათი ნავთი სხვის ნავთსა სჯობდა, ამიტომ მუშტარიც ბლომად შეიძინეს და ამხანაგებიც მოიმრავლეს: საქმემ გაიწია და შემდეგ ამხანაგობაც-კი დაარსეს. ბოლოს ამ ამხანაგობამ საიდუმლოდ პირობა შეჰკრა ზოგიერთს რკინის გზის მმართველობასთან, რომ ამათი ნავთი უფრო ბლომად ეზიდათ და წელიც შეეწყოთ მის გასაღებისათვის. რკინის გზებმა პირობა შეუსრულეს და მეოთხმოცე წლებში როკფელლერი უკვე „მეფე-მწარმოებელი შეიქმნა“ ნავთისა, როგორც თვით ამერიკელები ამბობენ, და წლიური შემოსავალი 14 მილიონი მანათი ჰქონდა: ეხლა როკფელლერს წელიწადში 20 მილიონამდე მანათი აქვს შემოსავალი. ასე მსწრაფლად გამდიდრება ძლიერ იშვიათი ამბავია.

— „Figaro-ს“ გამოუკვლევია, რა გავლენა ჰქონია ანბანის ასოებს ბულანჟეს ბედ-იღბალზედ. ყველაზე მეტი უბედურება დასტეხა იმ ასომ, რომელითაც იმის გვარი იწყება ე. ი. „ბ“-მა. ბულანჟემ თავი მოიკლა ბრიუსელში, Balle de revolverna,-თი, ქ-ნ ბონემენის საფლავზე. ბულანჟეს ასამართლებდა პროკურორი ბორეპერი. არც „ფ“ იყო ბულანჟესთვის სასიკეთო. ფერრი პირველი მოქიშპე იყო ბულანჟესი და დუელშიაც დასჭრა, ფრეისინემა სამხედრო სამინისტრო ჩამოართვა, ფერრიე თავმჯდომარე იყო ბულანჟეს გასამართლების დროს სასამართლოში. ბოლოს და ბულანჟემ თავი მოიკლა ფრეისინეს მინისტრობის დროს. „ლ“-კი ბულანჟესთვის საბედნიერო ასო ყოფილა. ლიუდრ, ლაგერი, ლეზანი და ლაგერისი მისი უკეთესი ამხანაგები იყვნენ ლიონშიც სიამოვნობითა და აღტაცებით დაუხვდა ხალხი, თითონ ბულანჟე ლუკრიოს სასტუმროში სცხოვრობდა და ლონდონელებისთვის სასიამოვნო სტუმარი იყო. აგრეთვე დიდი გავლენა ჰქონია რიცხვს 19. ბულანჟე დაიბადა 1837 წ., ქ-ნ ბონნემენი 1855 წ., გათხოვდა 1864 წ. ბულანჟე მოკვდა 1891 წ. ყველა ამ რიცხვით ციფრების ჯამი ცხრამეტ-ცხრამეტია.

— ინგლისის ქალების ჟურნალს „gentlewomen-ში“ ასეურებული რომანი დაიბეჭდება თურმე ამ მოკლე ხანში. რომანს სახელად ერქმევა „ფენელლას ბედი“; რამდენიმე კაცი და ქალი სწერს ამ რომანს, ყველა ცალკ-ცალკე, თითო-თითო თავს, მაგრამ ისე-კი, რომ ერთმა არ იცის, რასა სწერს მეორე.

— პარიჟის მოდის მაღაზიების ვაჭრობა. ლუვრის მაღაზია წელიწადში 135 მილიონ ფრანკს ვაჭრობს და 22 მილიონი თანხა აქვს. „Bon Marché“—130 მილიონს და 20 მილიონი თანხა აქვს „Printemps“—60 მილიონს და 36 მილიონი თანხა აქვს.

— ერთს ამერიკელს ახალი საკრავი გამოუგონია, სახელად „Tubatriphasiophone“. ამერიკელები ამბობენ, რომ ამ

---

ლიიდგანაც: გარიბალდის სიძე და მეგობარი პოლკოვნიკი კანციო, გარიბალდისთან მრავალს ომში ნაბრძოლი, იტალიის დემოკრატიულ დასის წინამძღოლი და აგრეთვე გარიბალდის ჯარში ნამყოფი სახელოვანი კავალოტტი; გარიბალდისვე მეგობარი და თანამებრძოლი გენერალი ტიურრი და მრავალი სხვა.

საფრანგეთსა და იტალიაში ბევრი სხვა-და-სხვა საზოგადოებაა, ჩვენის ამქრების მსგავსი (ასოციაციები). ოთხმოცამდე იქნებოდა ამისთანა ამქარი გუშინდელს დღესასწაულზედ; გარიბალდიელების ამქარი, გაგძინიელებისა, ობერდანკის საზოგადოება, მასონები და მრავალი ამ ნაირი, თავ-თავისის განსხვავებულის ტანისამოსით, თავ-თავისის დროშა-ბაირაღებით, გარს შემოეხვივნენ გარიბალდის ძეგლს. ჰშვენოდნენ მეტადრე გარიბალდიელები, ესე იგი გარიბალდის ჯარში ნამსახურები, წითელ-პერანგა და წითელ ქუდა კოხტა ვაჟკაცები, რომელთაც ხელში მტრის ტყვიებით დაფლეთილი დროშები ეჭირათ.

სუყველგან: ფანჯრებში, მოაჯირებზედ, კარებებში, სახლებისა და შენობების ბანებზედ გამოკიდებული იყო საფრანგეთის ეროვნული სამფერი ბაირაღები (ლურჯი, თეთრი და წითელი).

ქუჩები ხალხით სავსე იყო: ორისავე მხრით ქუჩებში გამწკრივებული იდგა დიდი და პატარა, ქალი და კაცი და წამ და უწუმ მიესალმებოდნენ ხოლმე ძეგლისაკენ მიმავალს ამქრებს და შესანიშნავს კაცებს, წამ-და-უწუმ გაისმოდა ხან ფრანგულად: „Vive la France“, გაუმარჯოს საფრანგეთსაო; „Vive Rouviez, vive Canzio, vive Cavalatti“, გაუმარჯოს რუვიესა, კანციოს, კავალოტტისაო: ხან იტალიანურად; „Evviva Italia, evvila Nizza“, გაუმარჯოს იტალიას, ნიცასაო. ერთს ამბავში იყვნენ: ხელსახოცებს იქნევდნენ, ქუდებს ისროდნენ აღტაცებით და სიხარულით, რომ სუყველასათვის ძვირფასს გმირს ამისთანა პატივისცემას უწევს საფრანგეთიცა და იტალიაცაო.

მუსიკა ქალაქის ერთს ოციოდე ალაგს უკრავს ხან მარსელიეზას, ხან გარიბალდის საგალობელს, იმ საგალობელს, რომელიც სიცოცხლეში თითონ გარიბალდის ძალიან მოსწონდა.

ამართული და გამზადებული ძეგლი დახურული იყო სამ-ფერის ჩადრით, რომელიც სწორედ დილის ათს საათზედ უნდა მოეხადათ და სიტყვების წარმოთქმა უნდა დაეწყოთ. ათ საათამდე სუყველა შეიკრიბა თავ-თავისს ადგილზედ ძეგლის გარშემო. დილა ღრუბლიანი იყო და თითქო წვიმასაც აპირებდა. წვიმა რომ მოსულიყო, რასაკვირველია, წაგვიხდებოდა დღესასწაული, აგერ გაწვიმდება, რომ ვფიქრობდით, სწორეთ დანიშნულს დროს, დილის ათს საათზედ, თითქო ზეცამაც მიიღო მონაწილეობა ჩვენს ზეიმში: მზემ გამოანათა. 10 საათზედ გავარდა ზარბაზანი, მოხსნეს უეცრად ჩადრი მარმარილოს სურათს გარიბალდისას; დასძახა ათი ათასმა ხმამ: „Vive Garibaldi“, გაუმარჯოს გარიბალდისაო, დაჰკრა მუსიკამ მარსელიეზა, გავარდა კიდევ თერთმეტი ზარბაზანი და უეცრად ამ ხმაურობას და რახა-რუხს იმისთანა სიჩუმე მოჰყვა, რომ ამ ათიათასს კაცში ბუზის ფრენასაც-კი გაიგონებდით: დაიწყეს წარმოთქმა სიტყვებისა.

ნიცის ქალაქის თავმა გრაფმა მალოსენამ, ორმა ნიცის დეპუტატმა რაიბერტიმ და ბორილიონემ, სენატორმა რანკმა, მინისტრმა რუვიემ და მეტადრე გარიბალდის სიძემ და მოლაშქრე-მოამხანაგემ კანციომ მშვენიერი სიტყვები წარმოსთქვეს საფრანგეთისა და იტალიის ძმობის და ერთობის დამყარებისა გარიბალდის სასახელოდ, ამ ორ ერთა შორის ძმურისა და მეგობრულის სიყვარულის, ერთმანეთის ერთგულების შესახებ; მერმე კავალოტტიმ ილაპარაკა. ეს ყმაწვილი კაცი, ორმოციოდე წლისა; იტალიაში პირველი წინამძღოლია ძლიერის დასისა და მთელს ქვეყანაში სახელ-განთქმულია. ჩემს სიცოცხლეში ბევრი გამიგონია სხვა-და-სხვა „სიტყვა“ ქართულადაც, რუსულადაც და ფრანგულადაც, მაგრამ ამისთანა ორატორი, ამ ზომამდე აღსავსე გრძნობით, ასეთი-მჭევრ-მეტყველი და მსმენელის აღმტაცებელი, როგორც კავალოტტია, არას ოდეს არ მინახავს. თურმე სახელ-გათქმულს ისპანიის ორატორს კასტელარს უდრის ეს კავალოტტი მჭევრ-მეტყველებითა, როგორც ამბობენ ისინი, ვისაც კასტელარის სიტყვა მოუსმენია.

დაწვრილებით დანარჩენს, რაც სათქმელი მაქვს, შემდეგს წერილში მოგახსენებთ.

ამ საღამოს დანიშნულია ერთს დიდს დარბაზში კრება საფრანგეთისა და იტალიის ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელთა, ბევრი მშვენიერი სიტყვა წარმოითქმის იქაცა და რადგანაც საღამო მოახლოვდა, იქით მივეჩქარები...

ნიკ. დიმიტრიძე

23 სექტემ. 1891. ქ. ნიცა (საფრანგეთი)
5. ოქტომბერს

საკრავს ძლიერ სასიამოვნო ხმა აქვსო.

— ამ დღეებში ბრაზილიის გადაყენებულმა მოხუცმა დონ-პედრომ ვერსალში თავის მკურნალებს: სიმოლას, ტარსოს და მოტოლაიას აჩუქა ოქროს მენდლები დაურიგა. მენდლის ერთს გვერდზე დონ პედროს სურათია დახატული და მეორეზე შემდეგი წარწერაა: „ბრაზილიის ერი მკურნალს (სახელი და გვარი) ნიშნად მადლობისა ჩვენი მამა—იმპერატორის მკურნალობისთვის.“. იმ დროს, როცა ეს მენდლები კეთდებოდა, ხალხმა დონ პედრო განდევნა ბრაზილიიდამ და მხოლოდ ეხლა მიუღია იმპერატორს რიო-ჟანეიროს სამეცნიერო აკადემიისაგან.

# დეპეშა

7 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა უავგუსტოესის შვილებითურთ გუშინ წირვას დაესწრნენ კოპენჰაგენის მართლ-მადიდებელთა ეკკლესიაში და, ისაუზმეს რა იახტა „პოლიარნაია ზვეზდაზე“, დაბრუნდნენ ფრედენბორგს. ოთხშაბათს, 9 ოქტომბერს, დანიშნულია სეფე-ნადირობა სამეფო აგარს ტირგარტენში.

დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ინკოგნიტოდ მიბრძანდა მადრიდს.

ოფიციალურის ცნობებიდგანა სჩანს, რომ ჩვენი 3% ოქროს სესხის საქმე კარგად მიდის და ხელის მოწერა ერთი რვად უფრო ძლიერი გამოუწვევია.

„Нов. Вр.“-ს გაუგონია, მომავალს წელს აპირობენ ციმბირის სასამართლოებში სასენატო რევიზია მოახდინონო.

როგორც გაზეთები იუწყებიან, ფინლიანდიელნი დიდს მონაწილეობას იღებენ შეწირულებათა შეკრებაში რუსეთის დამშეულ გუბერნიების სასარგებლოდ. ესეთი ქცევა ფინლიანდიელებისა იმითი აიხსნება, რომ თვით რუსეთიც ძლიერ დაეხმარა ფინლიანდიას, როცა 1870 წლებში იქ სიმშილი ჩამოვარდა.

ხელ-ახლად ნება მისცეს „Моск. Вѣд.“-ის ცალკე ნომრების გაყიდვისა.

„Бирж. Вѣд.“-ი იუწყება, რომ 1889 წ. 13 ივლისის კანონი შესახებ გადასახლებულთა მოძრაობის განწესიერებისა, განზრახვა აქვთ, აღმოსავლეთს ციმბირშიაც შემოიღონ.

როგორც გაზეთები იუწყებიან, აპირობენ თურმე მხოლოდ 1892 წლისთვის შემოიღონ შემოსავლობის კვალობაზე გარდასახადი. ეს ხარჯი მხოლოდ იმათ გამოერთმევათ, ვინც სახელმწიფო, საზოგადო და წოდებრივს დაწესებულებაში ან რკინის გზის კომპანიასა და სხვა რამ საქციონერო ამხანაგობაში მსახურებს და წელიწადში ჯამაგირი აქვს არა ნაკლებ 2000 მანათისა.

8 ოქტომბერი

**ლონდონი.** კოლფურტის მახლობლად ბრესლავიდამ მომავალი საჩქარო მატარებელი დაეჯახა მოვარჯიშე ორთქლ-მავალს. 5 კაცი მოკვდა და 3 დაიჭრა, მათს შორის მემაშინე ცეცხლის შემკეთებელიც.

პეტერბურგის ბირჟა, 4 ოქტომბერი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7, 55 | 7, 60 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 151 | 151½ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 14 | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 234½ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 219½ |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . , , , | — ,, | — ,, | 211 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე დამიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყიზირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს კვირაზე გემები.

# განცხადებანი


გამოვიდა მთავრობის მიერ მოწონებული

## „ანბანი მშობლიურ ენისა“

წერა-კითხვის შესასწავლად პირველ დაწყებითს სკოლებსა და ოჯახებში, შედგენილი ზ. გულისაშვილისაგან, მრავალის სურათებითა და ნახატისა და ნაწერის ნიმუშებით. ისყიდება ამხანაგობის წიგნის მაღაზიასა, გრიქუროვის მაღაზიაში, გორში არსენ კალანდაძესთან და ქუთაისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში.

ფასი ერთი აბაზი.

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულება ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით ტომი I: ელგუჯა, ციკო და ელისო . . . . | 1 | 20 |
| ტომი II, მამის მკვლელი და განკიცხული. . . | 1 | 20 |
| ტომი III, მოძღვარი და ციცია . . . . . | 1 | 20 |
| საუნჯე, მ. ჯანაშვილისა. | „ | 20 |
| ცვარი სურათებიანი, საყმაწვილო წიგნი. . . . | „ | 30 |
| სიმრთელის კიდობანი (კარაბადინი) სულაქველიძისა. | 1 | „ |
| „ვეფხის-ტყაოსანი“ მე-12 გამოცემა, ოზურგეთში; ფასი . . . . . . | „ | 30 |
| ავაზაკნი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა . . . | „ | 30 |
| სამი ბრძენი, ილ. იკონთელისა. . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა. . . . . . . | „ | 40 |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი . . . . | „ | 30 |
| ხალხური ზღაპრები, შეკრებილი აღნიაშვილის მიერ. | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა. . . | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელის . . . . . . | „ | 15 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . | 1 | „ |
| წინამძღვარი ზეცისა . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი . . | 1 | „ |
| ბრძენი . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულის ენისა, ყდით. | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა . . . . . . | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე, ყდით . | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი, დამატებით ძველის გეოგრაფიისა. . . . . | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამატიკა დამატებით გრამატიკურის და ლოღიკურის ანალიზებისა. . . | „ | 40 |
| მოკლე რეტორიკა, გინა მჭევრ-მეტყველება სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცისა, ყდით . | „ | 50 |
| Сношенія Россіи съ Кавказомъ, С. А. Бѣлокурова . . . . . | 3 | „ |

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ხედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თთვით. | . . 10 მ.—კ. | | 6 თთვით | . . . 6 მ.—კ. |
| 11 ,, | . . . 9 ,, 50,, | | 5 ,, | . . . 5 ,, 50,, |
| 10 ,, | . . . 8 ,, 75,, | | 4 ,, | . . . 4 ,, 75,, |
| 9 ,, | . . . 8 ,, —,, | | 3 ,, | . . . 3 ,, 50,, |
| 8 ,, | . . . 7 ,, 25,, | | 2 ,, | . . . 2 ,, 75,, |
| 7 ,, | . . . 6 ,, 50,, | | 1 ,, | . . . 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „Иверія“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

## ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| „თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძე) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი სამი ტომი, თითო ტომი ცალკე . | 1 | 20 |
| იგივე მშვენიერის ყდით და მშვენიერს ქაღალდზე თითო ტომი ცალკე . . . . . . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი ერთად . . . . . . . . | 7 | „ |
| სრული სამზარეულო ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა . . . , . . . . . . . | 1 | 20 |
| იგივე ყდით . . . . . . . . . | 1 | 40 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით და ბიოგრაფიით. | „ | 80 |
| იგივე მშვენიერის ყდით . . . . . . . | 1 | 25 |
| „დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“ ლეგენდარული პოემა ბაჩანასი. . . . . . . . | „ | 15 |
| ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ვლ. აღნიაშვილის მიერ, . | „ | 30 |
| იგივე, მშვენიერის ყდით . . . . . . | „ | 75 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| „მარაბდა“ პოემა ანტ. ფურცელაძისა . . . . | „ | 20 |
| „წყალობა“, პოემა მისივე . . . . . | „ | 20 |
| „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“ ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით ნათარგმნი თ. სახოკიას-მიერ . . . | „ | 30 |
| ვეფხვის ტყაოსანი, ოზურგეთში გამოცემული. . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . . . . . . | „ | 80 |
| მეფე დავით აღმაშენებელი. ისტორ. დრამა თ. ალექსანდრე ჯამბაკურიან-ორბელიანისა . . . . . . | „ | 40 |
| გიორგი ვაშინგტონი, თარგ. ნ. ბარნაბიშვილის-მიერ. . | „ | 30 |
| მაჭმადიანთ ლექსები, გამოც. ზ. ჭიჭინაძისა . . . | „ | 10 |
| ავაზაკნი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა . . . | „ | 30 |
| ნ. ნიკოლაძის ნაწერები წიგნი I . . . . | „ | 30 |
| სამის თავს გადასავალი, მოთხრ. ან. ფურცელაძისა. . | „ | 25 |
| ქიტესა—მისივე . . . . . . . . | „ | 15 |
| სამი სხვერპლი, დ. კარიჭაშვილისა . . . . | „ | 30 |
| ლენტის მსგავსნი ჰიები ი. თ. . . . . . | „ | 5 |
| პატიოსანი ადამიანი. . . . . . . | „ | 5 |
| ჟანნა-დარკ . . . . . . . . | „ | 5 |
| ბერლინის გარემოცვა. . . . . . . . | „ | 5 |
| „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდე“ ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა. . . . . | „ | 50 |
| „Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по Малой Азіи ა. ხახანაშვილისა. . . . . . . . | „ | 50 |
| „შვილის აღზრდა“, თ. ხუსკივაძისა. . . . . | „ | 20 |
| ფიზიკური აღზრდა, გ. იოსელიანისა . . . . | „ | 20 |


Дозв. ценз. Тифлисъ, 8-го Октября 1891 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.